



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოსცემა

1934 წ. აპრილის 7

№ 20

ტ ვ ი ლ ი ს ი

## უ ი ნ ა ა რ ს ი

### ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

176. 1934 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ.

## უ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

176. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ.

„1934 წლისათვის სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 31-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ., 30 №-ი, მუხ. 232), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრა, მის კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სწარმოებს საქართველოს სსრ-ში 1934 წელს სოფლად, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და ქალაქებში, გარდა ქალ. ტფილისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ქუთაისისა, ფოთისა, თელავისა, სიღნაღისა, ბორჯომისა, ჭიათურისა და გაგრისა, ზემო-სვანეთის რაიონისა, დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალივის, არხოტის და შატილის სასოფლო-საბჭოების სოფლებისა და თიანეთის რაიონის სუფლების ხაშალის და ბაჩალისა.

შენიშვნა დანარჩენ ქალაქებში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქებისა, თვითდაბეგვრა ვრცელდება მხოლოდ იმ მოსახლეობაზე, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს და დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.



2. თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსარი შედის 75%, რაოდენობით სასოფლო და სარაიონო ბიუჯეტებში და იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებულ და კულტურულ-სამეურნეო ღონისძიებებზე, ხოლო 25% რჩება სასოფლო საბჭოს სრულ განკარგულებაში სოფლის იმ საკიროებათათვის, რაც სასოფლო ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის

3. თვითდაბეგვრის ჩატარება შეიძლება მხოლოდ უწყებელი სოფლის, საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით. თვითდაბეგვრის შემოღებისათვის საჭიროა კრებას დაესწროს უწყებელი სოფლის, საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც. უკეთეს კრებაზე არ გამოცხადდა მოქალაქეთა ასეთი რაოდენობა, მოიწვევა მეორე კრება, რომელიც უფლებამოსილად ითვლება, თუ კრებაზე საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთი მესამედია. თვითდაბეგვრა შემოიღება კრებაზე დამსწრე მოქალაქეთა ხმის უმეტესობით. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის.

4. მოქალაქეთა საერთო კრება იხილავს იმ ღონისძიებათ, რაც ჩატარებულ უნდა იქნეს თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსრით, და აწესებს თვითდაბეგვრის განაკვეთებს გადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში; აგრეთვე აწესებს თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადებს.

**შენიშვნა.** თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადები განისაზღვრება ისეთი ვარაუდით, რომ გამოსაღების ვადახდა დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 15-ისა და დამთავრდეს 1834 წ. დეკემბრის 1-თვის.

5. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ:

- ა) კოლმეურნენი;
- ბ) ერთბიროვნული საგლეხო მეურნეობანი;
- გ) მუდმივ სოფლად მცხოვრები მოქალაქენი, თუნდაც ისინი სოფლის მეურნეობას არ აწარმოებდნენ.

6. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ სოფლის მეურნეობის არა მწარმოებელი:

- ა) მუშები და მოსამსახურეები;
- ბ) საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ან სხვა მოკავშირე თუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირნი, აგრეთვე შრომის გმირნი;
- გ) ვადიანი (შეუწყვეტელი) ან ზევადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

დ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო და რეზერვში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახურნი, გრძელვადიანი შევებულებიდან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში გადა-  
რიცხულნი;

ვ) გრძელვადიანი შევებულებაში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირნი, სათადარიგოდ და მუშათა და გლეხთა წი-  
თელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში მყოფი  
პირნი, რომელნიც, „თავდაცვა-ავიაქიმის“ ორგანიზაციების საშტატო მომუშავე-  
თა სახით, აწარმოებენ მშრომელთა სამხედრო მომზადებას;

ზ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელბარტიზანნი;

თ) გამხედროებული და ცვისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული სახანძრო და-  
ცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირნი; მუშათა  
და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურ-  
ნეო შედგენილობის პირნი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა  
ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირნი;

ი) ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული  
ომის და შრომის ინვალიდები;

კ) პენსიონერები, რომლებიც იღებენ პენსიას სახელმწიფო ორგანოებისა-  
გან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან;

ლ) სტიპენდიაზე მყოფი მოსწავლენი;

მ) კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები.

**შენიშვნა.** „გ“ და „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი სამხედრო მსა-  
ხურნი თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ აგრეთვე იმ შემთხვევა-  
შიაც, უკეთუ ისინი დათხოვნილ არიან გრძელვადიანი შევებულებაში, სათა-  
დარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან 1934 წ. იანვრის 1-დან.

7. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ ის მუშები და მოსამსახუ-  
რეები, რომელნიც აწარმოებენ სასოფლო მეურნეობას საკარმიდამო მიწაზე ან  
მათთვის ბოსტნეულისა და კარტოფილის დასათესად მიჩნეულ ნაკვეთებზე, და  
რომელთაც ჰყავთ არა უმეტეს ერთი ძროხისა, წვრილფეხა საქონელი, აქვთ სა-  
თიბი ადგილები, ხოლო არა აქვთ სამინდვრე მიწა და არა ჰყავთ მუშა-საქონელი,  
უკეთუ სამუშაო ხელფასი შეადგენს მათთვის შემოსავლის ძირითად წყაროს.

8. მუშები და მოსამსახურეები — კოლექტიური მეურნეობის წევრნი, უკეთუ  
თვით ისინი და მათი ოჯახის შრომაუნარიანი წევრნი კოლექტიურ მეურნეო-  
ბაში არ მუშაობენ, ან მათ მუშაობას კოლექტიურ მეურნეობაში აქვს შემთხვე-  
ვითი, არასისტემატური ხასიათი (მაგალითად, შევებულების დროს, გამოსასვლელ  
დღეს და სხვა მისთ), და ეს მუშაობა გამოიხატება მცირე შრომა-დღეებში, არ  
იღებენ მონაწილეობას თვითდაბეგვრაში, თუ რომ მათი არაგანსაზოგადოებული  
სასოფლო მეურნეობა არ აღემატება მე-7 მუხლში აღნიშნულ ოდენობას.

9. კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის და აგრეთვე თვითდაბეგვრის მტკი-  
ცე განაკვეთებით დასაბეგრი ერთპიროვნული შრომიანი მეურნეობებისათვის, უკე-

თუ მათი მეურნეობის შედგენილობაში არიან მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, და „ი“ პუნქტებში ჩამოთვლილი პირნი, თვითდაბეგვრის რაოდენობა მცირდება 25%-ით, ხოლო, უკეთეს მეურნეობაში სხვა შრომაუნარიანი მამაკაცი არ არის, — 50%-ით.

10. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

გადამხდელთა კატეგორიები	თვითდაბეგვრის რაოდენობა მეურნეობაზე.
I. იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ არაგანსახოგადობული შემოსავალი, ან რომელნიც 1934 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისგან . . . . .	5 მან.
II. კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც 1934 წელს დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით	8 მან-დან 20 მან-მდე
III. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი რომლებიც 1934 წელს განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისგან, ან რომლებიც 1934 წელს დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მტკიცე განკვეთების კვალობაზე . . . . .	12 მან-დან 50 მან-მდე.
IV. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი, რომლებიც 1934 წელს დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესული განაკვეთების კვალობაზე .	არა უმეტეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 100%-ისა.

თვითესულ სოფელში დაიდგინება ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-II კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის, ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-III კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის და თანაბარი პროცენტული შეფარდება თვითდაბეგვრისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან მე-IV კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის.

თვითდაბეგვრის განაკვეთები მე-III კატეგორიის მეურნეობებისათვის არ შეიძლება ნაკლები იყოს მე-II კატეგორიის მეურნეობებისათვის დაწესებულ თვითდაბეგვრის განაკვეთებზე, ხოლო თვითდაბეგვრის რაოდენობა მე-IV კატეგორიის მეურნეობებისათვის არ შეიძლება ნაკლები იყოს მე-III კატეგორიის განაკვეთებზე.

11. კოლმეურნეთა მეურნეობებს (I და II კატეგორია) და მტკიცე განაკვეთებით დასაბეგრავ ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს (მე-III კატეგორია), რომელთაც თავიანთ შედგენილობაში ორ შრომაუნარიანზე მეტი არა ჰყავთ,





ეძლევათ ოჯახის შრომაუუნარო წევრებზე გამომანგარიშებული თვითდაბეგვრის თანხის შემდეგი მონაკლები: როდესაც სამი შრომაუუნარო წევრია, თვითდაბეგვრის რაოდენობა მცირდება 20%-ით, როდესაც ოთხი და მეტი შრომაუუნარო წევრია, — 30%-ით.

12. სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ გაანთავისუფლონ ნაწილობრივ ან მთლად თვითდაბეგვრისაგან კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობანი და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი.

13. სოფლად მცხოვრები არაკოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომელნიც მეურნეობას არ აწარმოებენ, და სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შრომის შემოსავალი არა დაქირავებით, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

წლიური შემოსავლის რაოდენობა	თვითდაბეგვრის რაოდენობა მანეთობით.
900 მანეთამდე . . . . .	7 მან.
900 მან. მეტი 1.500 მანეთამდე . . . . .	15 "
1.500 " " 2.100 " . . . . .	20 "
2.100 " " 2.700 " . . . . .	45 "
2.700 " " 3.300 " . . . . .	60 "
3.300 მან. მეტი . . . . .	80 "

სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ ცალკეულ შემთხვევაში გაანთავისუფლონ თვითდაბეგვრისაგან არასამიწათმოქმედო შემოსავლის მქონე მოქალაქენი, უკეთეს ეს შემოსავალი არ აღემატება 480 მან. წელიწადში.

14. თვითდაბეგვრის რაოდენობა მე-13 მუხლში აღნიშნულ პირთათვის განისაზღვრება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის გამოანგარიშებული შემოსავლის კვალობაზე.

15. კულაკური მეურნეობანი იბეგრებიან თვითდაბეგვრის წესით 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით.

16. არა შრომის შემოსავლის მქონე პირნი, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ აწარმოებენ და იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ იმ თანხის 100%-ის რაოდენობით, რაც მათ დაეკისრებათ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით რომ ყოფილხყენენ დაბეგრილი თავიანთი შემოსავლის კვალობაზე.

17. საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ სასოფლო საბჭო წარუდგენს, თავისი დასკვნითურთ, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად.

უკეთეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ათი დღის ვადაზე არ აცნობებს სასოფლო საბჭოს, რომ დადგენილება გაუქმებულია, დადგენილება ითვლება ძალაში შესულად და სავალდებულოა უწყებული სოფლის ყველა მოქალაქისათვის.

№ 20  
 არქონული  
 1934 წლის  
 12.12.1934

18. სასოფლო საბჭო აგროეფს თვითდაბეგვრას თანხებს მოქალაქეების მიერ დადგენილ ვადაზე.

თვითდაბეგვრის გამოსაღების ნარჩენი გადახდევინება იმავე წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1934 წ. ივლისის 9

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 160 №-ში 1934 წ. ივლისის 12.

ფასი 20 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს 1934 წ. № 39 პ/მ რედაქტორი **ე. გამრეკელი**  
 საქმეთა მმართველობა

ქაღალდის ფორმატი 62×91 სანტ.; 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი  
 გადაეცა სტამბას 19/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII; ტირაჟი 1.700

მთავლიტი რწმ. ს.—№ 61 საქ. სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1152